



Tbilisi Open Teaching University

დამტკიცებულია აკადემიური და
წარმომადგენლობითი სენატის 2018
წლის 22 იანვრის #77 დადგენილებით

თბილისის ღია საწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კონცეფცია

წინამდებარე კონცეფცია მომზადებულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, თბილისის ღია საწავლო უნივერსიტეტის (თოუ) დებულების და თბილისის ღია საწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების საფუძველზე.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე განათლება გადაიქცა საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროდ, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა მიმართულებასთან. განათლების სისტემის პიროვნებისა და საზოგადოების მაღალხარისხიანი საგანმანათლებლო სერვისების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური და სულიერი განვითარების პერსპექტივებს. სწორედ ამიტომ აქვს უნივერსიტეტის კედლებში წარმოებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და მის პროდუქტს დიდი მნიშვნელობა მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადების საქმეში.

I. თოუ-ის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

- სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესების ერთიანობა და მათი ორიენტირებულობა მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებაზე;
- აკადემიური თავისუფლებისა და კვლევების პრიორიტეტულ მიმართულებებზე

რესურსების კონცენტრაციის ოპტიმალური შერწყმა;

- გამოცდილი სამეცნიერო კადრების მხარდაჭერა და ახალგაზრდების სამეცნიერო პოტენციალის განვითარება;
- სამეცნიერო და კვლევითი ინიციატივების საკონკურსო წესით შერჩევა;
- მეცნიერებისა და განათლების ინტერნაციონალიზაცია.

II. თოუ-ის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიზნები და ძირითადი ამოცანები

1. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიზანია როგორც შიდა ბაზრის მოთხოვნების, ისე საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა, მისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პოტენციალის ეფექტური გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური თუ სოციალური ამოცანების გადაჭრის ხელშეწყობისათვის.

2. აღნიშნული მიზნების მისაღწევად გადასაჭრელია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- სამეცნიერო კვლევების, როგორც განათლების ფუნდამენტალიზაციის საფუძველის, თანამედროვე სპეციალისტის მომზადების ბაზის განვითარება;
- ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ორგანული შერწყმა კომერციული ხასიათის კონკურენტუნარიან მიგნებებთან;
- განათლების სისტემის სრულყოფაზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტული განვითარება, ახალი საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება, სასწავლო პროცესის სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფის გაუმჯობესება, სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლება;
- დაწესებულების/სკოლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და დაფინანსების სისტემის შემუშავება/დახვეწა;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად დამატებითი ფინანსური და მატერიალური რესურსის მოზიდვა;

- სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების ჩართულობის მაღალი მაჩვენებლის უზრუნველყოფა;
- ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

3. აღნიშნული ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია:

- სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა ფუნდამენტური და გამოყენებითი, ასევე ინოვაციური კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრასა და მათ მხარდაჭერაში უნივერსიტეტის კვლევითი რესურსის გათვალისწინებით;
- კვლევების წარმოება არა მხოლოდ ახალი სამეცნიერო შედეგების გამოყენების ინტერესიდან გამომდინარე, არამედ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში საგანმანათლებლო პროცესის ყველა სუბიექტის (სტუდენტი, აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, სამეცნიერო პერსონალი) მონაწილეობის აუცილებლობის გათვალისწინებით;
- ფუნდამენტური მეცნიერებისა და განათლების ინტეგრაციული პროცესების განვითარება, უნივერსიტეტის მჭიდრო თანამშრომლობა სამეცნიერო დაწესებულებებთან;
- უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების საგრანტო კონკურსებში, კონფერენციებში და სხვ. აქტიური მონაწილეობა;
- სადოქტორო პროგრამების შემუშავება, დოქტორანტების კონტინგენტის დაგეგმვისა და ფორმირების მექანიზმების შემუშავება, დოქტორანტების მაღალი აკადემიური მობილობის უზრუნველყოფის საფუძვლების შექმნა;
- ეფექტური საერთაშორისო თანამშრომლობა როგორც სამეცნიერო, ისე საგანმანათლებლო სფეროში.

III. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეალიზაციის რესურსები და ხელშემწყობი მექანიზმები

ფინანსური რესურსი. დაწესებულების ბიუჯეტი, პირველ რიგში, უნდა მომხმარდეს განათლების განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრას, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფას, მაღალეფექტური კვლევითი პროექტების

განხორციელებას, ასევე როგორც შიდა, ისე გარე სამეცნიერო-კვლევით პროექტებში პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობას. ამასთანავე აუცილებელია მოხდეს ეფექტური მექანიზმების შემუშავება დაფინანსების დამატებითი წყაროების მოსაძიებლად.

საკადრო რესურსები. ახალგაზრდებთან მუშაობა. ამ მიმართულებით, პირველ რიგში, უნდა მოხდეს სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების სოციალური სტატუსის ამაღლება, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების წახალისება მათი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის და სწავლის შემდგომ ეტაპზე გადასვლის მოტივაციის ასამაღლებლად.

საჭიროა სტუდენტების და ახალგაზრდა მეცნიერების კვლევითი საქმიანობის ორგანიზების გადახედვა, ამ საქმიანობის დაფინანსება. კვლევითი პოტენციალის მქონე სტუდენტების გამოსავლენად, ახალგაზრდა მკვლევარების მოსაზიდად, მათი კვლევით საქმიანობაში ჩასართავად აუცილებელია: სამეცნიერო ოლიმპიადების, კონკურსების სისტემის დანერგვა, კონფერენციების სისტემის განვითარება საუკეთესო სტუდენტური სამეცნიერო ნაშრომების გამოსავლენად; უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის სტატუსის ამაღლება, გამოცემის ინტენსივობის გაზრდა, ჟურნალში არასაუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენელთათვის სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების ფართო შესაძლებლობის მიცემა; სტუდენტთა მაღალი აკადემიური მობილობის უზრუნველყოფა, ახალგაზრდების მხარდაჭერისა და წახალისების სისტემის შემუშავება; ახალგაზრდების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზების გაუმჯობესება აკადემიური განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე და დოქტორანტურის საფეხურის დამატება; პერსპექტიული ახალგაზრდა კადრების მოზიდვა აკადემიური, სამეცნიერო თუ მოწვეული პერსონალის პოზიციაზე ღია კონკურსის წესით და მათი სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში აქტიურად ჩართვა.

საინფორმაციო რესურსი. საინფორმაციო რესურსმა უნდა უზრუნველყოს: ცოდნის და ინფორმაციის მიღების და გაცვლის შესაძლებლობა, ხარისხიანი საგანმანათლებლო სერვისების მიღების შესაძლებლობა ყველა მსურველისათვის საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გაუმჯობესების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევების კომპლექსური საინფორმაციო-მეთოდური მხარდაჭერა საგანმანათლებლო და სამეცნიერო რესურსებზე თავისუფალი წვდომის ფარგლებში, მონაცემთა ბაზის შექმნა სწავლების მულტიმედიური და დისტანციური ტექნოლოგიების

ჩათვლით.


საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა. საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციამ გვაჩვენა, რომ ოცდამეერთე საუკუნე არის საზოგადოებრივი ცხოვრების გლობალიზაციისა და უნივერსალიზაციის საუკუნე. ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის გრძელვადიანი განვითარების უმნიშვნელოვანეს წყაროდ გვევლინება მათი ინტეგრაცია მსოფლიო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში, მათი ინტერნაციონალიზაცია. საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობის ფარგლებში თოუ-ის საქმიანობა შემდეგნაირად უნდა წარიმართოს: ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების დარგში პრიორიტეტული უნდა გახდეს მსხვილი ერთობლივი საერთაშორისო პროექტების რეალიზაცია, ხოლო ინოვაციური საქმიანობის სფეროში თანამშრომლობა ორიენტირებული უნდა იყოს ერთობლივ საქმიანობაზე და კომერციული ეფექტის მიღებაზე; უნდა განხორციელდეს ერთობლივი აკადემიური, ძირითადად სამაგისტრო და სადოქტორო, პროგრამები, ასევე ხელი შეეწყოს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა და დაფინანსება. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და დაფინანსების სისტემა ემყარება საგრანტო ფორმას კონკურსის საფუძველზე. ასევე უნდა განხორციელდეს თემატური პროექტების დაფინანსება კონკურსის საფუძველზე. ფუნდამენტური, გამოყენებითი თუ ექსპერიმენტული კვლევებისათვის პრიორიტეტის მინიჭება, ასევე პრიორიტეტული საკვლევო თემატიკის შერჩევა უნდა მოხდეს როგორც მეცნიერების და განათლების განვითარების მოთხოვნების, ისე უშუალოდ საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა საჭიროებების დადგენის საფუძველზე.

IV. მოსალოდნელი შედეგი

კონცეფციის რეალიზაციის შედეგად მიღწეული იქნება:

- პრაქტიკოსებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების მეცნიერული საფუძველის უზრუნველყოფა საერთაშორისო საკვალიფიკაციო მოთხოვნების დონეზე;
- სამეცნიერო საქმიანობის პრიორიტეტების, განათლების სისტემის განვითარების პრიორიტეტული საკითხების ფორმირების, განახლებისა და რეალიზაციის მექანიზმების



შემუშავება და სამეცნიერო კვლევების როგორც განათლების ფუნდამენტალიზაციის საფუძველის მხარდაჭერა;

- სტუდენტების და ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერის ორგანიზაციულ-ფინანსური მექანიზმის შემუშავება, მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამებში ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა, მეცნიერების გარეეკონომიკური საქმიანობის გააქტიურება.